



კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პროექტზე პარლამენტის გადაწყვეტილებას მიესალმებიან

საქართველოს პარლამენტმა პირველ მაისს კიდევ ერთხელ იმსჯელა კანონპროექტზე, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარის თქმას შეეხება და ამ შესაძლებლობას მხოლოდ მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში ითვალისწინებს. აღნიშნული კანონპროექტი საკანონმდებლო ორგანოს პრეზიდენტის მიერ ვეტოს დადების შემდეგ დაუბრუნდა. კანონპროექტთან დაკავშირებით შენიშვნები გააჩნდათ კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულების წევრ ორგანიზაციებს, რაც არაერთხელ იქნა დაფიქსირებული.¹ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მოუწოდებდნენ საქართველოს პარლამენტს არ გაეზიარებინა ინიცირებული ცვლილება და შეენარჩუნებინა ბრალდებულის უფლება მოტივირებული შუამდგომლობით უარი ეთქვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე.

პირველ მაისს საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ დაუბრუნდა განსახილველად კანონპროექტს. საკანონმდებლო ორგანომ მხარი არ დაუჭირა არც პრეზიდენტის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს და არც ინიცირებულ კანონპროექტს, რის შედეგადაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული ნორმა დარჩა ძალაში.²

მოქმედი ნორმა ბრალდებულს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილება მისი საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილვის თაობაზე. ბრალდებულს ასევე უნარჩუნდება უფლება დასაბუთებული

კოალიციის წევრები:

კონსტიტუციის 42-ე მუხლი მრავალეროვანი საქართველო სოლიდარობა უკანონო პატიმრებს საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი ლიბერალი კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება ასოციაცია მწვანე ტალღა კავშირი "21-ე საუკუნე" საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო დემოკრატი მესხთა კავშირი თავისუფლების ინსტიტუტი საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია სამოქალაქო განვითარების სააგენტო საქართველოს გაეროს ასოციაცია ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი ფონდი ღია საზოგადოება საქართველო დემოკრატიის ინსტიტუტი ამერიკის სავაჭრო პალატა სამოქალაქო ინიციატივების და დასაქმებულთა დაცვის ასოციაცია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი თბილისის მედია კლუბი ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

¹ http://www.coalition.org.ge/article_files/152

² http://parliament.ge/index.php?option=com_content&view=article&id=3484%3A2013-05-01-23-23-18&catid=2%3Anews&Itemid=433&lang=ge

შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს და უარი
თქვას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე.

საქართველოს პარლამენტის მიერ მოქმედი ნორმის
შენარჩუნება ცალსახად დადებით შეფასებას იმსახურებს.
განცხადების ავტორი ორგანიზაციები მივესალმებით
საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებას, რომელიც
ითვალისწინებს კანონპროექტთან დაკავშირებით
გამოთქმულ შენიშვნებს და უზრუნველყოფს
ბრალდებულის ინტერესების დასაცავად შესაბამისი
საკანონმდებლო გარანტიის შენარჩუნებას.

დავით ასათიანი

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისათვის თავმჯდომარე

კახა კოჟორიძე

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისათვის თავმჯდომარის მოადგილე